გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №74.06.11.524, №74.06.11.267, №74.06.11.297, №74.06.11.493, №74.06.11.305, №74.06.11.311, №74.06.11.595, №74.06.11.624, №74.06.11.324, №74.06.11.787, №74.06.11.470, №74.06.11.489, №74.06.11.568, №74.06.11.589, №74.06.11.228, №74.06.11.631, №74.06.11.240, №74.06.11.332, №74.06.11.188, №74.06.11.193, №74.06.14.716, №74.06.11.513, №74.06.14.803) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასტუმროს ტიპის სახლების და დასასვენებელი სახლების განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N587 დადგენილების - „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის N90/ო ბრძანებისა და 2020 წლის 29 ოქტომბრის N8/20 ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავებული დოკუმენტაციის - გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №74.06.11.524, №74.06.11.267, №74.06.11.297, №74.06.11.493, №74.06.11.305, №74.06.11.311, №74.06.11.595, №74.06.11.624, №74.06.11.324, №74.06.11.787, №74.06.11.470, №74.06.11.489, №74.06.11.568, №74.06.11.589, №74.06.11.228, №74.06.11.631, №74.06.11.240, №74.06.11.332, №74.06.11.188, №74.06.11.193, №74.06.14.716, №74.06.11.513, №74.06.14.803) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასტუმროს ტიპის სახლების და დასასვენებელი სახლების განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის განხილვა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე და მოიცავს 23 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს და დაურეგისტრირებელ ტერიტორიას. საპროექტო არეალში იგეგმება დაბალი ინტენსივობის განაშენიანება, კერძოდ სასტუმროს ტიპის სახლები და დასასვენებელი სახლები. აღნიშნული შენობებისთვის სართულიანობა განისაზღვრება 3 ან 2 სართული მანსარდით. პარკინგები მოეწყობა კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია შიდა საპროექტო გზებისა და ნაკვეთების დაგეგმარება იმგვარად, რომ ყველა სამშენებლო მიწის ნაკევთის განვითარება განხორციელდეს შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებისა და რელიეფის დახრილობის გათვალისწინებით. დეტალური გეგმის საპროექტო გადაწყვეტით ტერიტორიაზე დადგენილია შემდეგი ფუნქციური ზონები: სატრანსპორტო ტერიტორია და საკურორტო ზონა 1 (შზ-6).

საპროექტო ტერიტორიაზე სასტუმროს ტიპის სახლების და დასასვენებელი სახლების განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 10 სამუშაო დღის ვადაში, 2021 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით, შემდეგი ელექტორნული ფოსტის მეშვეობით: sajaro.gankhilvebi@mrdi.gov.ge